

ივერია

თვე	მან.	კ.	მან.	კ.
12	10	—	6	—
11	9	50	5	50
10	8	75	4	75
9	8	—	3	50
8	7	25	2	75
7	6	50	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შუარი.

რედაქცია: **ივერია**
ნიკოლოზის ქუჩა, 21
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებლად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამაგრ. საზოგადოების კანცელარიის.
ფასა განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეორეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინაა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამაგრ. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРΙΑ“.

გვიხარია

ყოველ გვარს სასამართლო სამ-
შეს, როგორც სამოქალაქოს, ისე
სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ
გვარს არზეს, ვტვირთულობ აგრეთ-
ვე **მამულებს ბანკში დაბრ-
შვას.**

მსურველთა მოკვამართან დადის 8—10
საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედების ქუჩა, სახლი პაპოვისა,
№ 30, იკითხეთ ა. მ. ახანაზროვი.

ახალი ამბავი

როგორც გვატყობინებენ,
ცხინვალში ნიაღვრებისა გამო ახ-
ლად აშენებული ახანო სრულიად
ჩამონგრეულია.
გვატყობინებენ აგრეთვე, რომ
სხვა სოფლებშიაც დიდს ზარალს აძ-
ლევს მცხოვრებლებს: უნგრევეს
სხალებს და სხვა.
* * * ხაშურისგან 31 ოქტომბერს
მომავალი რკინის გზის მატარებელი
ათი საათის მაგივრად ღამის ორ სა-
ათზედ ჩამოვიდა ტფილისში. რკინის
გზა მთელის ოთხმოცის ვერსის მან-
ძილზეა წალეკილი ბათუმსა და მიხა-
ილოვს შუა.
* * * ჩვენ გვთხოვენ დაგეტყუოთ
შემდეგი: „უსინათლოთათვის მზრუ-
ნველ საზოგადოების კავკასიის გან-
ყოფილების საბჭოს თავმჯდომარე
ვედოკია ბორისის ასული შერემეტე-
ვისა, აცხადებს-რა საყოველთაოდ,
რომ განყოფილების წევრთა საზოგა-
დო კრება, რომელიც დანიშნულია
შაბათს, 4 ნოემბერს, შუაღლის 4
საათზედ, კავკასიის მთავარ-მართებ-
ლის სასახლეში და რომელმაც უნდა
განხილოს 1894 წლის ანგარიში
განყოფილების მოღვაწეობისა, იწვევს
როგორც ბ. წევრთა საზოგადოები-
სა, ისე ყველას, ვისაც გული შესტ-
კივა, მობრძანდნენ დანიშნულს კრე-
ბაზედ“.

* * * დ. სურამი, 28 ოქტომბერი:

ამ დროს ჯომარდი ჯეილი ¹⁾
მოლიდინებდა გზაზედა;
ამანაც ჩამოუტია,
ზედ იერიში გაბედა.
მგზავრმა ასწივა ფოხონსა, ²⁾
თან თვალი დარჩა გზაზედა
და ერთი უშველებელი
ტორი ჰქრა შუბლში მარჯვედა ³⁾
ამგვარი საღმით მებრძოლი
ნიღაღ ძლიერ გამწოვდა:
ნახა რომ ჩანადინარის
თან სარგებელი გასწორდა. ⁴⁾
ხმა ჩასწყდა, მაგრამ ნახა-კი,
რომ ის ქვა ქვევით ჩაგორდა.
მგზავრმა-კი ჟამი დაიკა,
მოპირდაპირეს განშორდა.
როდესაც გონად მოვიდა,
ძაღლი წააგდა ქვასაო:
„თუ ის გამექცა, შენ ხომა
ველარ დამღწევ თავსაო.“
ტოტები შემოუჭირა, ⁵⁾
კბილები უფრო მეტადა,
მითომ საგლეჯად ხორცისა,
ძვალების დასაკვენტადა.
მაგრამ მაშინვე შასწყმუვლა,
ქვაც ჩამოჰვარდა მურასა
და მოჰყვა წკმუტუნ-წყავ-წყავსა,
განა მხიარულს „ურასა.“

¹⁾ ჯომარდი ჯეილი—ყოჩაღი, ახალგაზ-
და.
²⁾ ფოხონი—ბეწვიანი ქუდი.
³⁾ ტორი—კობი—ქვა.
⁴⁾ რაც თვითონ ექმნა, ერთბაშად იმა-
ზედ მომეტებულიც მიიღო.
⁵⁾ ტოტები—თათები.

ამ დროს ბარდშით ყურები
გამოჩინა ტურასა
და ყალხს შემდგარი დაკინვით ¹⁾
ეუბნებოდა იმასა:
„რა? ხელ-მეორედ სარჩოლად
გულ ხომ არ ავღრენიაო?
„აბა ჰა, თუ ეგ მეორე
კბილიც არ მოგწყენიაო.
შე, კაი კაცო, ხომ მითქვამს,
რატომ არ გეყურებოა?
მაგრამ შენ შენი მომრევი
ალარვინ გეგულეებოა.
ჰო, ავი კაცი... ერჩოლე,
თუ მაინც აღარ ჰდგებოა;
კარგია, თუ შეაშინებ,
ახი—თუ მიჰვარდებოა.
მაგრამ შენ ავ-კარგს არ არჩევ,
ყველას ჰირითა ჰძღებოა
და ქვესაც ჰღერავ, უგნურო,
მაგრამ რას გამოჰჩნებოა?
მათ კოლომსაც ვერ უფრთხობ,
შენ-კი უკბილო ჰჩნებოა.“
მურამ შემბღვირა: „ჩემს მწვრთნელად
შენ აქ ვინ მოგიყვანაო?“
თავზედ ბუწუწი აუშვა,
კულ მალლა შეაყენაო
და რომ გაღუბტა, მტვერისა
კაწოლი დაუყენაო, — ¹¹⁾
ამ დროს ეკლიან ჯაგებში
ტურამ შორს ჩაახველოა;
წელან-კი გული გაუსქდა,
გააცივ-გააცივებოა.

¹⁰⁾ ყალხს შემდგარი—უკანა ფეხებს მ-
ყუდლებული.
¹¹⁾ კაწოლი—კორიანტელი, მტვერი.

განუწყვეტელმა წვიმებმა ააღიდა და
ააღიდა ჩვენი პატარა მდინარე სუ-
რამელა; ღამის 10-11 საათზედ გაღ-
მობეთქა ნაპირები და მოედო წყალი
სურამს. უმთავრესი ქუჩა უშველე-
ბელ მდინარეთ გადაიქცა. სახლები
და დუქნები წყალით აივისო, დაქ-
ცია რამდენიმე შენობა, დააქცია და
წაიღო სურამის სუყველა ხიდები,
მოსტაცა ზოგს ბეღელი, ზოგს ძარი,
ზოგს საქაბი, სალორე, გააფუქა
მრავალი სანოვაგე, კირნახული და
ავეჯი. ხალხი წვილ-კვილით გა-
მობრბოდა თავიანთ სახლებიდან. მა-
მასახლისი რამდენიმე კაცი დადიო-
და ურმით და გადაჰყვანდა შეშინე-
ბული ხალხი ერთი სახლიდან მეო-
რეში; კარგი იქნებოდა, რომ მოე-
ხერხებინათ და ამ წარღვის დროს
მაინც აენთოთ ფარნები და გაენა-
თებინათ მდინარედ გადაქცეული
ქუჩები. ზარალი დიდია, აღამიანი
არავინ უმსხვერპლია. აქაურებს არა
ვის არ ახსოვს, რომ ესე როდისმე
ადიდებულყოფის ეს პაწია მდინარე-
მიზეზი ამ მდინარის ესე ადიდები-
სა ჰხლო-მახლო მდებარე ტყეების
უზომით გაჩეხება.

მ. რ. მ. ს. კ. ნ. დ. მ. ნ. ც. ი. ა.

ახალციხე, 29 ღვინობისთვე. შე-
ძლებისა დაგვარად ჩვენც, ახალცი-
ხის ქართველებმა, მივიღეთ მონაწი-
ლეობა სახელგანთნის მგოსანის რაფი-
ლის საიუბილეო ქართველთა საერთო

მურა გაუღდა, გაწყება
უნდოდა ხელ-დახელაო;
მაგრამ მაშინვე გამოძვრა:
გაკაწრულიყო ძნელაო
და ლანძღვა-თრევით გასწივა
შინისკე ნელა, ნელაო.

1895 წ.

„გადაბარება ოჯახისა“.

გადაგვარების მოსურნე—
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!..

აკაკი.

შემდეგი*)

III

პირველი სამეტრი.

— დღეს „პიროვესს“ თითქოს
მიმწვარის გემო აქვს აი!..—სიტყვა
მიხეილმა, როცა „ბულიონს“ პი-
როვესის ლუკმა დააყოლა.
— მე ის მაკვირვებს, რატომ სხვა
გემო არა აქვს-რა, უხასუხა გააგზენ-
ბულის კილოთი ცოლმა და მოკენ-
ჩილი ქადის ნაქერი იქვე სინზედ
გადააგლო ზიზლით.

— როგორ?.. რას ნიშნავს ეგ შე-
ნი სიტყვები? ჰკითხა გაკვირვებით
ქმარმა.

— იმას, რომ ჩვენის მზარეულის
წყალობით ღამის ღღე-მუღამ მშვი-
რები ვისხდეთ...

*) იხ. „ივერია“ № 236.

დღესასწაულში. ამის გამო მოვიყა-
რეთ თავი ამ თვის რვას. ამ კრება-
ზედ გადასწყდა „გაგზენოს“ ჩვენგან
ადრესი და ფული მისამატებლად იმ
ფონდისა, რომელიც არსდება რაფი-
ელის სახელზედ. ფული უნდა მოკ-
რებილიყო ვაჭებში, რადგანაც ქალ-
თა შორის უკვე აგროვებდა ფულს
პატივცემული ელისაბედ ნიკოლოზის
ასული ყაზიმბეგი (რომელმაც აქ შეგ-
როვილი 114 მან. წარმოადგინა კი-
დეც კარგა ხანია). ჩვენ განვიზრახეთ
ასე 20—30 თუმანადის შეგვეგროვე-
ბინა. ხოლო, რადგანაც აქ ქართვე-
ლობა ცოტაა და ამითშიაც ჯიბე-
თხელები გაცილებით მეტნი ვართ,
ვიდრე ჯიბე-სქელები, და ერთბაშად
არ შეგვეძლო აღნიშნულის თანხის
შეგროვება, ამიტომ ჩვენ გავიწყრეთ
ეს თანხა, 5 მანეთიდან 15 მანეთამ-
დის თითოეულმა, სურვილისა და
შეძლებისა დაგვარად. ამ გაწყვილ
ფულში ზოგმა მთლად გადაიხდა უკ-
ვე, ზოგსაც ნაწილ ნაწილად შემო-
აქვს. ვაღიბებული გავხადეთ ჩვენი
თავი ხუთისა ან ექვსის თვის განმავ-
ლობაში უეჭველად გადავიხადოთ.
ფულს შემკრებლად ავირჩიეთ ნ. ბ.
ბეზირგანიშვილი და დ. ი. ბაქრაძე,
რომლებსაც ცხრა თუმანადის უკვე
მოგროვებული აქეთ.

22 ამ თვეს წმიდა მარინეს ეკ-
ლესიაში, 12 საათზედ, შეგროვდა
ხალხი პარაკლისზედ დასასწრებლად.
პარაკლისის წინაღ დეკანოზმა დიმიტ-
რი ხახუტაშვილმა წარმოსთქვა შესა-

— რა ვქნა? ეგ კარგი ოსტატია...
იქნება დღეს უცაბედად მოუხდა...
სხვა დროს არა შემომჩნევია-რა...

— დილა, შენ არ შეგიმჩნევია...
ახლა მე მკითხე და... ჩიბუხუნა
ელისაბედმა და კობების შეკვრით
„ბულიონით“ სასე მათობა განზედ
გასწია.— ისე დღე არ გაივლის, რომ
უსიამოვნობა რამ არ მომაყენოს!..

— მერე, რატომ არ დაითხოვე?
ჰკითხა ქალს იქვე მყოფმა მიხეილის
სიდერმა.— განა მზარეულები ცო-
ტანი არიან?

— დაითხოვე?—გაკვირვა ელისა-
ბედმა—ვინ გაბედავს ამის შემყურე?
—ამასთანავე ქმარზედ მიუთითა.

მიხაკო გაოცებით ხან ცოლს შე-
ხედავდა ხოლმე და ხან სიდერს,
თანაც მაგიდაზედ დაბჯენილი მარც-
ხენა ხელი, რომელშიაც ნახევრად
მოქმული ქადა ეჭირა, გაშეშებულ-
სავით შერჩა.

— რა ვქნა?.. მე შენი ლაპარაკი
არ მესმის... მიუბრუნდა ცოლს.

— რა არის აქ ძნელი გასაგები?
ჩვენს სახლში სადილის გაკეთება
ბაბილონის გოდოლის მეორედ აშე-
ნებას ჰგავს! მე ვეუბნები—სტაფი-
ლოთი გააკეთოს წვენი, ის კომბოს-
ტოს უშვრება... მე ბიესტეტს უკვეთამ,
ის ანტიკოტს ამზადებს... ერთი
სიტყვით, ერთმანეთისა ვერაგავიგია-
რა...

— და რატომ აქამდის არ ვიცო-
დი...

ფერი და გრძობით სავსე სიტყვა და სხვა მღვდლებთან ერთად გარდაიხადა პარაკლისი რაფიელის საღვთო-გარდელად მრავალ ეპიფანით. პარაკლისის შემდეგ ხალხი შეგროვდა აქაურს სახალხო სამკითხველოში, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოება“ დააარსა აქაურ ქართველთათვის. იქ ჯერ სიტყვა სიტყვა ცნობილმა ვინმე მესხმა, მამა იოანე გვარამიძემ. ამის შემდეგ რაფიელის რჩეული ლექსები წაიკითხეს ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის მოწაფეებმა. ამის შემდეგ ნასიამოვნები ხალხი დაიწყო.

დასასრულ ვისურვებ, რომ ჩვენი არჩეული პირნი ბ-ნი ბაქრაძე და ბენიკიანი შეიღობონ უფრო გულთი მოჰკიდებოდნენ მათდამი მიწოდებულ საქმეს, რომ დროზე იქნას შეკრებილი აღნიშნული ფული.

ასეთი გულ-გრძობა? მართალია ორიოდ ქუჩა მოუყენებინათ, მაგრამ ეს ბევრი არაფერია, ბევრი რამ ეჭირება ქალაქს. აი თუნდა განათება. გარდა ერთი-ორი ქუჩისა, სხვა ყველა წყვდიადშია შთანთქმული. მიღის ადამიანი ამ ქუჩაზე და ღმერთს სულ იმასა სთხოვს, როდის იქნება უვნებლად მივალწო სახლსაო...

მომრიგებელ სასამართლოს შენობა აქამდე შუა ქალაქში იყო, ახლა გადაუტანიათ, ქალაქის ნაპირას, რაც დიდ შეცდომად უნდა ჩათვალოს.

29 ამ თვეს საქართველოს ექსპროხოსმა ვლადიმერმა აკურთხა სამასა-წავლებლო სემინარიის ახლად აშენებული ეკლესია წმიდა ნინოს სახელობაზედ.

გორი, 30 ოქტ. 1895 წ.

ლია წარილი.

ვეკლასკან მისაბაძეს და სამაგალითო შოკეტს რ. დ. კრასიანს!

ნება გვიბოძეთ იმ მხრიდან, სადაც შენ გონებით მოგზაურობდი ამ რამდენიმე წლის წინად და სადაც ეძიებდი „სამოთხეს“, მაგრამ ვერ პოვე, „მობრუნდი მხარი იცვალე, ჩრდილოსკენ ჰქენი პირია, იარე, არ შეიმჩნიე შენ შენი ვასაქირია“; 22 ოქტომბერს იმ „ვასაქირით და ვეებით“ მოაღწიე, როცა ქართველი ერი პირველად იღვიძებს ჩვეულ ძილისაგან და პირველად საქვეყნოდ პატრისა-გცემს 50 წ. სალიტერატურთა ასპარეზზედ მრავალ-მნიშვნელოვან მოღვაწეობისათვის, ნება გვიბოძეთ, ვიმეორებ, ამ შორეულ სომხეთ-ვეფრატის გადმოღმა მხრიდანაც გიძღვნათ როგორც მე, ისე აქ მცხოვრებ ახალგაზდა ქართველებმა ის გულთადაც წაქეზა, რომ ამჟამადგან შენს ნაშრომს მეთუთმეტე მტეხადა

ვებდავ... ამას გარდა ეგ ბიჭი ძალიან მიქვს, როგორც კარგი მზარეული... ახლა რა ღმერთი გაუწყრა, არ ვიცი!..

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ისეთი რამ შეგინებ... აქ ქალიერთ ხანს ყოყმანით შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ვერ გაუბედინაო... ოჰ, გინდა ის მათქმეინო, რაც მე მერითიერება... მაშ გიიგე... ის ბიჭი ჩემს გოგოს სხვანირად აღევნებს თვალს, ესიყვარულდება და მე იმას ვერ მოვიტყენ... ჩემი ოჯახი ამას ვერ აიტანს!..

— უი დამიდგეს თვალები!—წამოიძახა დედამ იმ კილოთი, თითქოს რაღაცამ უბინაო. იქნება მართლა... — მე არა მჯერა... სცდები... დამტკიცებით სიტყვა მიხეილმა.

— მიშელ! წამოიყვირა გაჯავრებით ელისაბედი, ფეხზედ წამოიჭრა მთლად გაფითრებულ-აკანკალებული, შენ ჩემს სიტყვას არ ერწმუნები? ვილაქ ქართველ მზარეულზედ მცვლი—და ქალმა ქვითინიამოუშო.

— დედა, დედა!.. ხომ გესმის, ხომ გესმის, მიშელს აღარ ვუყვარვარ... სლოუუნებდა ქალი. გულ-გახეთქილი დედა და ქმარი მივარდნენ წასაქცევად განზადებულს ელისაბედს და ხელზედ მიისვენეს, მიიყვანეს იქვე „ღივანზედ“ და ბალიშზედ მიაწვინეს... ქალს ტირილისაგან მხრები და მთელი სხეული უთრთოდა, უკანკალდება.

დავამარსაუთ: არ გავცდით აკანს და სამშობლო ჰქეყნას საფლავს აწაფებზედა!.. შენებრ ჩვენც მოგბრუნდებით და მხარს ვიცვლით „გადაგვარების“ გზისაგან, მოვალთ და ძმურად ხელს მივცემთ იმ ჩაგრულს ერს (გლეს), რომლის მარჯვენაც არჩენს მთელს კაცობრიობას და რომელთა „ბედის წერისათვის“ პირველად მოიძარათა შენი „ქნარი“ და რისთვისაც ხარ შენ, პოეტო, უკვდავი... მოვალთ იმ ტურფა ქვეყანაში და შევისისხლობრცვებთ იმ აზრს, რომ მარტო ერთობა და შრომა არის ჩვენი წინსვლის საღასარი!..

აი ამ გრძობას გიძღვნი უკვდავ სახსოვრად და მგონი, მოხუცო, ამხედ მეტს საჩუქრს არ ინდომებ შენც!..

ტ. ინასარიძე.
22 ოქტომბერს, 1895 წ.
დ. დილიჯანი.

მცირე შენიშვნა.

„ივერიამ“ „კვალის“ საპასუხოდ 236 №-ში დასტამბა წერილი, რომელიც საკმარისად დასაბუთა, რომ იმ საერთო, საერო დღესასწაულის მზადებასა და შრომაში, როგორც იყო თ. რ. დ. ერისთვის 50-ს წლის იუბილეს დღესასწაული, ერთობით გულ-გრძობა ჩვენს ერს, და მეტადრე ჩვენს ეურნალ-გაზეთებს არ დაეწამებათ; რომ არა მარტო „კვალი“ ყოფილა ამ დიდის საქმის მოთავეო...

ამ საშარტლიანის დასკვნის წინააღმდეგ აბა რა უნდა ითქვას ვისმეს განა?!

მე მხოლოდ მინდა აღნიშნო შემდეგი: ავეისტოს პირველ რიცხვებში ამ დღესასწაულის მსურველთა და თანამგრძობთა კრებამ იუბილეს ვასამართავად აღირჩია ორი კომიტეტი: გამგე და აღმასრულებელი. ბ-ნი გი-

— დამწიდილი—შენ გენაცვალოს ჩემი თავი... ემუდარებოდა მუხლებზედ წამოაოქილი მიხეილი და თანაც ხელებს უკოცნიდა; დედა-კი „ო დეკოლონი“ საფეთქლებს უხელოვდა. —ღმერთმანი დღესვე დავითხოვ იმ მხეცს... არ გარგებს აგრე აღვლევა შენს ყოფაში... (ელისაბედი ორსულობის უკანასკნელ ხანაში იყო) და-მშვიდდი, თუ მცირედი პატრის-ცემა გაქვს... გული მოიცი... ბოდიშს ვიხდი... დამწაზვე ვარ... აი ამ ამბით გარდაწყდა საქმე მზარეულის დათხოვნისა.

IV

„Mama“ თუ ჯგაფ.
— მიშელ! მიეტკიბილ-საღმა ერთხელ ელისაბედი სამსახურიდან დაბრუნებულს ქმარს.—რა გახარო და!.. ჩვენმა „კოლიამ“ „MAMA“-ს თქმა ისწავლა. ისე გარკვევით და გონივრულად ამბობს, რომ გაგიკვირდება!.. ოჰ ვენაცვალე... მალე „პაპასაც“ ისწავლის... წავიდე, ვნახო, იქნება გაიღვიძა—და გამზიარულებულმა ქალმა ბავშვის ოთახისაკენ გაჰკურცხლა...

მიხაკო ამ დახვედრამ გააღიმა, მაგრამ აღფრთოვანებულმა ცოლმა გულ-წრფელ მზიარულებად ჩასთვალა; ის-კი ვერ გაარჩია, რომ იგი სიმწრის ღიმილი იყო. დიად, მიხეილმა მწარედ გაიღიმა, რადგანაც სავალალო იყო ის გარემოება, რომ მისმა პირველმა შეიღმა, რომელსაც

ორგი წერეთელი აღმასრულებელ კომიტეტის წევრად აღირჩიეს და არა გაშვებ კომიტეტისა, მაშასადამე მოთავედ ის მაშინ არავის აღურჩევია.

ეს კომიტეტები არ შესდგა და სწორედ „კვალის“ წინადადებით შეიკრიბნენ ყველა რედაქციებისა და დაწესებულებათა წარმომადგენელი და აღმოიჩინეს სხვა კომიტეტი. კომიტეტის წევრებად ამორჩეულ იქნენ: თ. დ. მიქელაძე, ალ. ჯყონია, გრ. აბაშიძე და ვ. გუნია და შემდეგ ამით ანდრია ლულაძეს, როგორც მკვირცხლსა და გამოცდილს კაცს სთხოვეს მიეღო თავის-თავზედ სადღესასწაულო კორტეისა და გარეგანის წესრიგის დაწყება. ბ-ნმა ლულაძემ სხვადა-სხვა მიზეზების გამო მიწოდებობაზედ უარი განაცხადა და ამის მაგიერად თვით კომიტეტმა და არა კრებამ მოიწვია იმ დროს ქუთაისიდან ჩამოსული ბ-ნი გიორგი წერეთელი...

ყოველივე რწმუნება და ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვითომც ბ. წერეთელი ან უფროს გამგეთ ყოფილიყოს არჩეული, ან თავმჯდომარედ კომიტეტისა, ანუ ოდესმე არჩეული ყოფილიყოს კრებისაგან, კეშმარტებისა და სიმართლის წინააღმდეგია!.. ვფერი ყოფილის კომიტეტისა გრ. აბაშიძე.

მთანი და ღრუბელი.

(ლევანდ).
ამ ზაფხულს „ივერიამ“ (№ 168) დაბეჭდილი იყო პატარა მოთხრობა ბ. ვაჟა-ფშაველასი „მთანი მალაღინი“, აღბეჭდილი ამ ცნობილის მწერლის ჩვეულებრივი ნიჭით. პოეტი ასულდგმულებს მთას აზრი და გრძობით, ცდილობს ახალს საიდუმლო პირბადე და ჩახეილოს მის გულმკერდში. მშვენიერი ყვავილები, რომელნიც მთებს ამშვენებენ, შეადგენენ მათს ოცნებას, იმედს, ნუგეშს.

გულია ფანცქალით მოვლოდა, იმისმა სისხლმა და ხორცმა, რომელიც მისი სიხარულ-დამამშვენებელი და ამისთანავე სამშობლოს ქირისუფალი უნდა ყოფილიყო—პირველი სიტყვა, მერე ისიც რა სიტყვა—„დედა“ პირველადვე უცხო ენაზედ წარმოსთქვა... რათა? რატომ ჯერ „დედა“ არ ისწავლა და შემდეგ „MAMA“? მერე ვისი ბრალია?—„შენი, შენი“—ამოსჩურჩულა ვილაქამ და ეს ვილაქა იყო გრძობა თვით-მზიარებისა, რომელიც ყველა ადამიანში ჰბუდობს. ამავე დროს მას გაახსენდა ის დღე, როცა იგი და ვანო ონორიძე—მისი მეგობარი ბაასობდნენ ცოლის შერთვის შესახებ. მთელი მაშინდელი ლაპარაკი—ვანოსი სრულის საგნებით მოაგონდა, ეხლაც თითქოს ურში ეწვეთებოდა ყოველი სიტყვა მეგობრის მიერ წარმოთქმული; ამ მწარე გახსენებამ ეს როდი-და აკმარა—ის სიტყვები მოჩვენებით გარდაიქცნენ, ასე გონია, ხორცი შეისხესო და მიხეილის თვალებს წინ გამოეჭინნენ, მერე რა ნიშნის მიგება იყო აღბეჭდილი იმათ სახეზედ, თითქოს ეუბნებინან: „შენი ბრალია, შენი“... ო. დიად, მისი ბრალია! ამას ახლა ნათლად ჰხედავდა. ოჰ! მაშინ რომ ეხლანდელსავით განეცადა მთელი სიმართლე მეგობრის რჩევისა, ხომ ეს აღარ მოხდებოდა... მაგრამ სიყვარულით თვალები აბლესილი ჰქონდა, ნეტარის გრძობით აქედრებული

ხშირის ნისლეზით იჭურავენ იდენი თავს, როცა ჩაფიქრდებიან და ამ ფიქრს ადამიანის შვილებს უნახლავენ.

ჩვენ არ გვინდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოვაგონოთ მკითხველს მთელი საუცხოვო სურათი, რომელიც ხელოვნურად დაგვიხატა პოეტმა. გვსურს მხოლოდ შესადარებლად უკანასკნელ მოყვანილს ჩვენის მწერლის აზრს მოვუყვინოთ ერთი ლეგენდა, რომელიც აქამდის ინდოეთში ტრიალებს. იყო დრო, გადმოგვცემს ლეგენდა, როცა მთებს ჰქონდათ ფრთები და თავისუფლად დაფრინავდნენ; საცა დაიღალეობდნენ, იქვე ჩამოეშვებოდნენ და თავიანთ სიმძიმით ახდენდნენ მიწისძვრას. განრისხდნენ ამის გამო მათზედ ღმერთები და მოაკვეციეს ფრთები მთებს. ფრენის საშუალებას მოკლებულნი, მთები დაეშვენ ერთს ადგილას და სამუდამო ბინა აიჩინეს, ფრთები-კი გაიშალნენ ზეცაში და შეიქნენ ღრუბლებად. ამიტომაც, ათავებს ლეგენდა საერო გადმონაცემს, ღრუბელს უყვარს მთა და ხშირად ეხვევა თავს ნიშნად წარსულის ერთად ყოფნისაო.

ა. ხაზანაშვილი.

ძალე-უბრძნის ფოთლის ჩიი.

ნება იყო ღართული გაეციდნათ „ძალე-უბრძნის ფოთლის ჩიი“ ამავე სახელის ზედ წარწერით. ხოლო ამ უკანასკნელს დროს შინაგან საქმეთა სამინისტროში გუბერნიის მმართველთაგან მიიღეს რამდენიმე მოხსენება, რომ ზემოხსენებულ მცენარისაგან გაკეთებულს ჩაის ახვევენ იმგავრსავე ქაღალდში, როგორც ჩინეთის ჩაის და ზედწარწერა „ძალე-უბრძნის ფოთლის ჩიი“ ისე მკრთალად არის დაწერილი და დაფარული, რომ შესაძლებელია კაცმა ვერ შენიშნოს და ჩინეთის ჩიი ეგონოს. მით უმეტეს, რომ ამ ჩაის ისეთივე ფასი აწერია, როგორც ჩინეთისასო.

სიმები გულისა—ყოველს საგანს, ყოველს ფიქრს მომხიბლავად ჰკაზმავდნენ და თვით ბოროტებასაც-კი სათნოებათ აჩვენებდნენ.

კარგა ხანი ჰფიქრობდა მიხეილი ამ საგნის შესახებ და ამ ფიქრის დროს ხან-და-ხან იმედიც-კი ეძლეოდა ხოლმე. „იქნება საქმეს კიდევ ეშველოს; ის ჯერ კიდევ იმდენად ჩვილია, რომ ყველაფერს ადვილად მიეჩვევა, მხოლოდ აღმზრდელია საქმრო, აღმზრდელიო“, წარმოსთქვა ხმა-მალა საღარბიძემ, მაგრამ როცა სიტყვა „აღმზრდელი“ განიმეორა—ამ სასოებით სავსე იმედს—გვერდზედ ჯალათსავით სასოწარკვეთილება ამოუდგა, რომელმაც იმედს ხელის-კვრა დაუწყა, თან-და-თან ჩამოაცალა მიხეილის გონების თვალს, ბოლოს ერთი ზორბა ქიმუნჯის წაკვრით სრულიად მოაშორა და თითონ გამოეკეცა წინ მთლად პირ-გაშავებული, ეშმაკავით დუხჭირის სახით. „აღმზრდელი, აღმზრდელი—წამოიკენესა გულ-საკლავად საცოდავმა, მერე დედაზედ უკეთესი აღმზრდელი ვინა იქნება? თვით ბუნებას მიუნიჭებია იმისათვის ეს პირველობა!.. და ვაიმე, რომ სწორედ ეს კანონიერი და ამ საქმეში ძალიან არსება—ჩემს წინააღმდეგ იქცევა!“.. ოჰ, დაიწყველოს ის წამი, შეჩვენებულ-შეირისხოს, როცა მე სიყვარულმა ასეთი მოუფიქრებელი ნაბიჯი გადამდგმინა!..

ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროს თანხმობით წინადადება მისცა გუბერნიის მართვით აუხსნან ქალაქის მმართველთა და პოლიციისა და სამკურნალო განყოფილებებს ჩინეთის ჩაის მაგვირად შეხვეულ ძალღაპურძენას ჩაის გასყიდვა მოტყუებით ვაჭრობას ჰგავსო, რაც აღკრძალულია ხელმწიფე იმპერატორის მიერ დამტკიცებულ 1895 წელს გამოცემულ კანონის მეხუთე მუხლის ძალით. ამიტომ ვაჭრები, რომელნიც შენიშნულნი არიან ჩინეთის ჩაის მაგვირად შეხვეულ ძალღაპურძენას ჩაის გასყიდვაში პასუხის გებაში იქმნებიან მიტყუებულნი.

ნარკვევი

(ქურნალ-გაზეთებიდან).

ცნობილი ორიენტალისტი ვამბერი დარწმუნებულია, რომ ოსმალეთს გამოუხიზლებია ეტყობა. ხანგრძლივის პასის შემდგომ „ნეი ჭრეი პრესს“-ის ერთ თანამშრომელთან შემდეგი აზრი გამოსთქვა ოსმალეთის მდგომარეობის შესახებ:

თუ რომ ევროპას შეტაკება ჰსურს, სომხები, მკვლავლები და კანდიტები საკმაოდ ბევრს მიხვებს მისცემენ ამისას, მაგრამ თუ ჰსურს საქმე მისს დღევანდელს მდგომარეობას მიანდოს, დეე, დღევანდელ რეფორმებზე დაეყრდნობოდეს და მხოლოდ თვალ-ყური ადევნოს, რამდენად უნაკლებად იქმნებიან შესრულებულნი იგინი, უცადოს რა შედეგი მოჰყვება ამას. როდესაც დღევანდელს ოსმალეთს ამ ორმოცი წლის წინანდ ცნობის ოსმალეთს შევადარებ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ იქ მაინც თავს იჩენს აღმოსავლეთის დაუღვრება, უკან ჩამორჩენა, მაინც უხედავ, რომ ბევრი რამ გაკეთებულა აქ პროგრესის მხრივ. საერთო განათლების საქმეში მაგალითად ოსმალეთს შესამჩნევად წინ წაუწევია. წერა-კითხვის უცოდინარი ოსმალეთში უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპაში, რიცხვი უმაღლესს და სა-

სალარბემ ბოლთის ცემას მოუწოზო-რა და გამწარებით თმის იბურძენიდა, თითქოს მასში ეტებს ხსნასო. „უძლური ვარ, უძლური! ბრუდეთ და წყებულ საქმეს—მხოლოდ მაგარი ხსიითის კაცი მოუვლის და გაასწორებს!.. მე-კი ლაჩარი ვარ, ძალი არ შეწევს!..“ ოპ! როგორ მოვტყუებდი! სიყვარულმა დამიმონავა!..

სალარბემ მართლა და უძლური იყო ცოლთან საბრძოლველად, რათა თავისი წმიდათა-წმიდა დაცვა, ყველა მისი იმედები გაჰქრნენ სწორედ ისე, როგორც ცის კიდურს თითო-თითოთ მოსწყდება ხოლმე მოციმციმე ვარსკვლავები და ცა სამგლოვარო ძაბით იმოსება. ცოლმა არა თუ დაპირება არ შესრულა, არამედ ნათლად გამოიჩინა სრული გულგრილობა ქართულისადმი და ცოტა არ იყოს აბუჩადაც აიგდა. მერე გარე-ქობები ისე ეწყობოდა, რომ პირდაპირ ბრალს ვერ დასდებდით—„შენ ქართული ენა გძულსო“. ელისაბედმა აქამდის მხოლოდ ორიოდ სიტყვა შეისწავლა; ისიც მხოლოდ იმითომ, რომ ქრის ნაცნობებისათვის ეთქვა: „გეგონათ, მე ქართული არ მესძლეს... აი, მე ვიცი ესა და ეს სიტყვა—რასაც ჰწინავსო“. ამას გარდა ოჯახის მოსამსახურეთა შორის—ქართველი არავინ იყო. ნეტარ ხსენი-ქულს მზარეულსა იმ დირს შესანი-შნავ დღედან ექსორია უქნეს... მეო-ბე დღესვე—სიღვრმა კარზე სხვა

შუალა სასწავლებლებისა დღით-დღე მატულობს, უცხო ენებსაც დიდს ხალისითა სწავლობენ. ჩემს დროს ქალებს სრულიად არა ჰგზავნიდნენ სკოლაში, დღეს-კი ქალთა სასწავლებლების რიცხვი საკმაოდ ბევრია და მათში ათასობით მოწაფე-ქალი ითვლება. ამას წინად კოსტანტინოპოლში ყოველ-დღიური გაზეთი-კი გამოსცეს ქალებისათვის. რაც შეეხება მხედრობას, ეს უკვე ყველას კარგად მოეხსენება, რომ ოსმალელი ჯარისკაცი ბევრით არაფრით ჩამოუვარდება გერმანულს ჯარისკაცს. წინად ძალიან ცოტა ჰყვანდა ოსმალეთს ოფიცრები, მაგრამ ესლა ეს ნაკლი უკვე შეეხებულა, რადგანაც ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში მრავალი ოსმალელი ახალგაზრდა სწავლობს სამხედრო სამსახურს გერმანიისა და საფრანგეთის მხედრობაში. გარდა ამისა თვით კოსტანტინოპოლის სამხედრო სასწავლებლიდანაც საკმაოდ ბევრი კარგი ოფიცერი გამოვიდა, რომელთაც დიდხანს სასწავლოდა გოლგეთ-ფაშა, ერთი სიტყვით, თუ რომ ოსმალეთს თავს დაანებებენ, აღმოსავლეთის საქმე არავის საქმეში ჩარევას არ მოითხოვს, ხოლო, თუ პირიქით შევიწროვებს დაუწყებენ, მაშინ ოსმალეთი უფრო მეტს წინააღმდეგობას გაუწევს, ვიდრე ევროპაში ჰფიქრობენ, რადგანაც ოსმალეთი გამოფხიზლდა, სამშობლოს სიყვარული ძვალ-რბილში გასჯდომისა და დაუსჯელად არავის მისცემენ ნებას დამიწის პირიდან აჰგავან იგინი.

„რუსიკი ინვალიდ“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი პორტუგალიის ვესელოვსკისა, რომელიც სამხედრო აზრით ძალღებსა სწრთვნიდა. თუმცა ეს საგანი ბოლომდის არ მიიყვანა ამ ცდის დროს ხსენებულმა პირმა (რადაც შემთხვევისა გამო), მაინც კარგი შედეგი მოჰყვა ამას. ყველა ძალდი ძალიან აღვივალ მი-ზხვდა, რასაც მისგან თხოულობდნენ და თვით ზარმაცი ძაღლებიც-კი მაშინვე მუშაობას შეუდგნენ, როგორც-კი ძველი ლათინური დამაკვირდი მოიგონეს, რომ „მაძლარი მუკელი სწავლას ძნელად ითვისებსო“ და შესაფერი საშუალებანი იხმარეს. ექვ-

კონუსის მზავსი ბაწია ცხვირი-ლა არ-დევდა; ისიც შორიდგან რომ შეგებე-დათ, გეგონებოდათ დასორსოლებული პურის გული სახეზე უსროლიათ—და ზედ შეჩინაო; სამაგიეროდ ძუძუები ფუთიანებსავით ეკიდა და უხვ მასპინძლობას ჰპირდებოდა ბაწია „კოლიას“. ცოლის წყალობით მომეტებული რიცხვი ოჯახის ნაცნობებისა—უცხო ტომი იყო. მაშინ, როდესაც რომელიმე თანამემამულე მიხეილისა თვეში ერთხელ-ორჯერ თუ გაივლიდა მისს ოჯახში, ელისაბედის მეგობრებით, ან ნათესაგებით და მათი ნაცნობებით მუდამ-დღე სახლი სავსე იყო. ქართულის ენის გაკეთილები საშუალოდ გარდაივი-წყეს; შემდეგში ელისაბედს არა ერთხელ უთქვამს, რომ ყველა ეგ ბავშვური გატაცება იყოო.

როცა ყველა ეს მიხეილმა გაითვა-ლისწინა—დარწმუნდა, რომ ოჯახი გადსხვაფერების გზას დასდგომოდა. „ოპ, რა მართალი იყავ, ვანო! და მე-კი სიყვარულით დაბნედილი—ამას ვერა ვგრძნობდი!..“

რამდენადაც უნუგეშობას ჰხედავდა, იმდენად სურვილი ეღვიძებოდა საქმის გამოკეთებისა, გამოშალაში-ნებისა. სწორედ ამიტომაც მიხეილმა გარდაწყვიტა—როცა ბავშვი აზრო-ვნებაში შევა—ცოტ-ცოტათი ქართუ-ლის სწავლებას შევუდგები—მერე სა-თავდა-ზნაურო სასწავლებელში მივა-ზარებ და იქნება იმ აკვანმა ქართუ-

სის კვირის შემდეგ საქმე სრულიად კარგად წავიდა, ძაღლები ვერს-ნახვერის მანძილზე შესანიშნავად კარგად მუშაობდნენ. ნახს-რა ჯარის-კაცებმა, რომ მათი შრომა უნაყოფოდ არ რჩება და სრულიად უფარვისი ძაღლები საქმისათვის სასარგებლონი და გამოსადგენი არიან,—აქც მგობრობას უწვევენ. დიდს ერთგულობით ეცილებოდნენ ამ საქმესა და რომ მეტის თაყ-გამო-დებით საქმე არ წაენდინათ, საჭირო იყო თვალ-ყურის დევნება გაეძლიერებინათ ყველაფერი, რაც-კი წინად შესწავლეს, ახალ შესწავლათან ერთად მეორედო-და. ჩემის აზრით, ის ძაღლები, რომლებიც ყველაფერს უცბად და კარგად ასრუ-ლებდნენ სწავლების დროს, შესაძლებე-ლად ვცანი ადრე გამეშვა სახლში და კო-დეც ვანთავისუფლებდი, სწერს ვესელოვ-სკი. ამ რიგად შემდეგ შესაძლებელი ზედ-ბოდა, უფრო ცუდ ძაღლებისათვის მეტი ყურადღება მიმეცია და ჯარის-კაცებს-კი ეს წესი ძალიან მოსწონდათო.

ძაღლებს კ-რგად მიჰქონდათ ტვი-რთი ერთის ადგილიდგან მეორეზედ. ამასთან კარგი ის არის, რომ ამ საქ-მისათვის ერთნაირად არიან გამოსა-დგენი ყველა ჯიშის ძაღლები, ოლ-ონდ ბებერი ძაღლები არ იყენებო, იწერება გაზეთი „ნოვოე ვრემია“.

უცხოეთი

საზრანგეთში. ბურჟუას დებე შას, რო-მელიც კარმოში შეთქმულთა შესახებ გაეგზავნა ტარნის პრეფექტს, ის სასურ-ველი შედეგი არ მოჰყვა, რომელსაც სამინისტრო მოელოდაო. მუშე-ბი სიხარულით მიეგებნენ მთავრობის წინადადებას მედიატორეთა სამართ-ლით იქმნას გარჩეული მათი საქმე და მაშინათვე შეუდგნენ მსაჯულთა ამორჩევას. მუშებმა ხუთი მსაჯული ამორჩიეს, რომელსაც სრული უფ-ლება მიანიჭეს და მიანდეს სხვა არ-ჩეულ პირებთან ერთად გარდაეწყვი-ტათ კრიზისის საქმე. მაგრამ წინაა-

ღის ენისამ—მისცეს ის, რაც ოჯახ-ში ვერა ჰპოვა“-ო. ამ გარდაწყვე-ტილებამ ცოტა არ იყოს დაამშვი-და.

— აბა, მიშელ! შემოხედე ჩემს გვრიტუნას!—უთხრა ღიმილით ქმარს ოთახში შემოსულმა ცოლმა, რომელსაც თან შემოჰყვა ძიძა პატარა ბაღლით ხელში.—ეს არის ენლა ინება გაღვიძება! რანაირად არის გა-წითლებული, თითქოს ვარდიაო!.. პირ წავარდნილი შენა ხარ აი! უპ, გენაცვალე!—აქ ქალი ბაღლს მივარ-და და ლოყაზედ უჩქიტიდა.

— ა...ა...ა... მოისმა წრიბინი ბაღ-ლისა, რომელიც მიუხვდა დედას აღერს და გაღვიძებულმა უჩბილო ღრძილები გამოაჩინა.

— Не трогайте барыня, а-то со-сна разсердится—დაიბაყბაყდეა ძიძამ და თანაც ბაღლი უცბად შე-ათამაშა ხელზედ: Ой, лю-лю ми-ленький!...

— Коля, а ну-ка скажи: «ма-ма!».

— მიჰმართა ელისაბედმა შვილს; თან წაიხარა და სიყვარულით თვა-ლებში ჩააცქერდა.

— Мама!.. წამოიძახა ბავშვმა და თანაც ტუჩები პროზად შეჰკრა.

— ოპ, ჩემო ანგელოსო, ჩემო სა-მოთხე! შეჰყურებდა თავის ნაყოფს, რომელიც—ერთის მხრით—ჰხატავდა კმაყოფილებას, მეორეს მხრით-კი დაფარულ სევდას... ერთსა და იმა-

მედელითა საყურადღებო სტატის-ტიკა ქალთა მოღვაწეობის შესახებ ამერიკაში. შეერთებულ შტატებში ითვლება 3,949 არტისტი-ქალი, 35,000 მუსიკის მასწავლებელი, 11,000 ქალი მხატვრობდა და 2,725 მწერალი ქალი, რომელთა შორის 888 გაზეთებში სწერს.

ოსმალეთი, ოფიციალური „ნო-რდ“ სწერს შემდეგს: „სომხეთის შე-სახებ საქმე უკვე გარდაწყდა სამ-თა სახელმწიფოთა სურვილისამებრ და სულთანის თანხმობის მეოხებით; ამიტომ ჩვენ არ გვესმის არც ლონ-დონის გაზეთების გაჯავრებული კი-ლო, არც ინგლისელ დიპლომატე-ბის მოქმედება კოსტანტინოპოლში. ლონდონის ოფიციალური პრესა და ინგლის-სომხეთა კომიტეტები, რომელთაც მფარველობას უწევს ბრიტა-ნიის მთავრობა, სხვა რიგად სჯიან და ფიქრობენ. ისინი ისევ ისე მოღვა-წეობენ, როგორც წინად და განზ-რახვა აქვთ დაარღვიონ მშვიდობა-ნობა, რომლის დაცვისათვისაც ბევრი მეცადინეობა გასწეის დიპლომატებმა და რომლისათვის სულთანმაც ბევრი დასთმო. რუსეთს არ შეუძლია მოი-თმინოს ამგვარი მოქმედება ინგლი-სისა და შესაძლებელია იძულებული გახდეს—აღმოსავლეთში მშვიდობა-ნობისა და თავისს მეგობრის სულთა-ნის უფლებათა დაცვისათვის—რადი-კალურს საშუალებას მიჰმართოსო.“

საზრანგეთის ახალის სამინისტ-როს დეპლარატი.

23 ოქტომბერს სამინისტროს პრე-ზიდენტმა ბუ-ჟუამ დებუტატთა პა-ლატაში წაიკითხა შემდეგი დეკლარაცია:

ბატონებო! პალატის დებუტატთა უკანასკნელმა სხდომამ ისეთი კითხვა აღძრა, რომელზედაც ყველაზედ უწინ უნდა უგოს პასუხი პრეზიდენ-

ვდ დროს ეს პაწია არსება ერთნაი-რის ძალით იზიდავდა თავისაკენ და თანაც ხელსაც ჰკრავდა... ოპ, რა ბედნიერება იქნებოდა, რი ციურ ხმად მოველინებოდა მიხეილის სმე-ნას, რომ ბაღლს ტუჩები აეცმაცუ-ნებინა და წარმოეთქვა „დედა“. არამც-თუ — ანგელოსად — არამედ თვით ღმერთად ეჩვენებოდა მაშინ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ კაცის ნასა-ხი. მაგრამ „კოლია“, როგორც სჩა-ნდა,—სრულიადაც ვერა გრძობდა მშობლის სულის კვეთებას, ვერ გა-ნეტვრიტა მის უსუსურ აზროვნებას მისკენ ვედრებით მიქცეული მიხეი-ლის თვალები, რომლებშიაც აღბეჭ-დილი იყო: „შვილო გენაცვალე „Мама“-ს ნუ ამბობ, დედა“ თქვი“-ო. ბაღლი მაინც უზრუნველად იმეო-რებდა თუთიყუშისვით შესწავლილ ასოებს „Мам... мам... мам... და თანაც მარცხენა პაწია ხელს ლოტ-ბარსავით აყოლებდა.

იღვა, იღვა მიხაკო ასე გაშტერე-ბული და, რომ ვერ ეღირსა ციურ მანანას მზავსის სიტყვის გაგონებას, უიმედოდ მობრუნდა და გულ-საკ-ლადად ამოიოხრა.

ილ. ელფთეროძე.

(შემდეგი იქნება).

